ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N26/კ

ქ. მცხეთა 08 ივლისი **2015** წელი

ერთის მხრივ მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა (შემდგომში" შემსყიდველი") წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის გამგებლის ზურაბ აბესაძის სახით და მეორეს მხრივ, N1700 კონკურსში გამარჯვებული ი.მ ნათელა ლომსაძე (შემდგომში "მიმწოდებელი") კონკურსის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში –"ხელშეკრულება") შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში ობიექტების: ქსოვრისის ადმინისტრაციული შენობის; ქსანში ადმინისტრაციული შენობის; ქსანში საბავშვო ბაღის; ციხისძირის საბავშვო ბაღის; წილკანში დევნილთა დასახლებაში ამბულატორიის; წეროვანში დევნილთა დასახლებაში ამბულატორიის; ვაზიანში რიტუალების სახლის გაზმომარაგების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა. (CPV71200000).

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 389 (სამასოთხმოცდაცხრა) ლარს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

3.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შემსყიდველის მხრიდან საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიღება-ჩაბარებას განახორციელებს **მცხეთის მუნიციპალიტეტში კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვებისათვის შექმნილი საკონკურსო კომისია.**

4.2 მომსახურება ჩაითვლება გაწეულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

5.1 მომსახურების მიწოდების ადგილია ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ.#7.

5.2 დასრულებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს 2015 წლის 14 ივლისის ჩათვლით.

6. მხარეთა უფლება- მოვალეობები

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიმწოდებელი მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.4 მიმწოდებელი ვალდებულია გასწიოს მომსახურება სათანადო ხარისხით.

7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი

7.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ ნორმებსა და წესებს, მსგავსი მომსახურებისათვის უკვე დადგენილ სტანდარტებს, ტექნიკურ სპეციფიკაციებს, აგრეთვე ტექნიკური დავალებით გათვალისწინებულ პირობებს, რომელიც ამ ნაწილში წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებიდან გამომდინარე მისი განუყოფელი ნაწილი ხდება.

7.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს ახორციელებს **მცხეთის მუნიციპალიტეტში კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვებისათვის შექმნილი საკონკურსო კომისია.**

7.3 კონტროლი გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე გაწეული ან გასაწევი მომსახურების ხარისხის კონტროლს.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.

8.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულიშემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულშემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

9.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლემამოსილია ცალმხრივადმიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9.5 მხარე ვალდებულია 9.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

9.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 ხელშეკრულება მოქმედებს 2015 წლის 01 ოქტომბრის ჩათვლით.

12. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. #7 ს/კ 236098824	ი.მ „ნათელა ლომსაძე“ მის: ქ. მცხეთა, აღმაშენებლის ქ. N101 ს/კოდი: 127004916
ბანკი: სახელმწიფო ხაზინა	სს „საქართველოს ბანკის“
ბ/კ TRESGE22	ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა GE24NB0330100200165022	ა/ა GE23BG0000000310616900 ტელ: 574 83 49 41
მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი	ინდ. მეწარმე
ზურაბ აბესაძე	ნათელა ლომსაძე